12 569

№ 28 (264)
ფასი 10 კაპ.

ოპორტუნისტი მიმავალ ექსპრესში

— ჩვენ მათ როგორ დავეწევით და გავუსწრებთ, როცა ისინი მირბიან, ხოლო ჩვენ კი — ვდგევართ.

27 ივლისი 1930 წ.

„მეისრეა დამნაშავე“

მოგეხსენებათ, მეისრე რკინის გზის დაბალი კატეგორიის მოსამსახურეა.

ისეც მოგეხსენებათ, რომ მას ყველა წამხდარ საქმეში (ყველა დაწესებულების და არა მარტო რკინისგზის) ბრალს სდებენ და პასუხისგებაში აძლევენ.

ვთქვათ მოხდა ასეთი შემთხვევა:

მეისრემ ისარი მარჯვნივ მოაბრუნა, როცა მარცხნივ უნდა მოებრუნებია,ან წინაალმდეგ.

ცხადია, მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მომავალი იყო დასავლეთისაკენ დაიკავებს პირს, ან და „უკეთეს შემთხვევაში“ შეიძლება ლიანდაგს გადაცდეს და „თავი გაიტეხოს“ (ორთქმავალი გაფუჭდეს) ან უარესიც მოუვიდეს (მთლად დაიმსხვრეს).

მგონია თქვენ დამნაშავეს აღარ მოძებნით.

დამნაშავე მეისრე იქნება მას ამ დანაშაულობიდან ვერვინ გაამართლებს (შეიძლება მათი დაცვა ჩვენმა ზოგიერთმა ნაფიცმა ვექილებმა იკისრონ) მაგრამ ხვდება ისეთი შემთხვევებიც რკინის გზაზე, როცა მეისრეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

ვთქვათ ლიანდაგი გამოცვლას ან შეკეთებას საჭიროებს, ვთქვათ ორთქლმავალი უვარგისია, ან კიდევ და რომელიმე სადგურის უფროსმა დაუდევრობა გამოიჩინა ვთქვათ რკინისგზის სამმართველოში ვინმე შავნებელი ზის. დამეთანხმებით, რომ აქვე მოხსენებულ მიზეზებით გამოწვეულ „უბედურ შემთხვევებში“ მეისრე „ცამდის“ მართალი უნდა იყოს.

სინამდვილეში კი...

ისევ „მეისრეა დამნაშავე“.

რკინის გზის სამმართველოს აპაოატის წმენდას დავესწარი.

რა არ დაინახა და გაიგონა ჩემმა თვალებმა და ყურებმა.

იცით, თურმე რა ხალხი „მმართველობდა“ რკინის გზას! ჰმ, ნუ მეკითხებით! ვინ გინდათ აქ არ ყოფილა „მოკალათებული“, დაწყებული მისი ბრწყინვალებიდან გათავებული „კალეესკი ასესორობამდის“ თქენ გიკვირთ! როგორ ვითმენდით დღემდის ამ ხალხს.

მე კი ის მაკვირვებს:

როგორ გვიძლებდა დღემდის ეს ხალხი?

ერთ მშვენიერ დღეს მათ ხრმ შეეძლოთ ეს ჩვენ რკინის გზა ხელში ჩაეგდოთ?..

ვნახოთ, როგორ იქნება წმენდის შედეგი...

ჩვენ ვფიქრობთ, წმენდის შემდეგ „დამნაშავე მეისრეების“ რიცხვი შემცირდება, თორემ ისინი სხვა ხალხია. როცა ჩვენი „მმართველები“ კურორტებზე დასასვენებლად გაემგზავრებიან, დროს შეურჩევენ, ისარს უკუღმა მოაქანებენ და მათ „მატარებულს“ საიქიოსაკენ გააქანებენ.

ნიანგი.

თავი—კომბოსტო

რკ. გზის ზოგიერთ მოსამსახურეთა დაუდევრობით ხშირად ფუჭდება ბოსტნეულობა და ხილი.

გაზეთებიდან.



ლოგრი:—ალბად ვილაც ძმობილი შეავს იქ აპარატში, რომ ასე მცემს პატივს!

„რკინის გზაოსანი“

ტარტაროზ მოვლო რკინის გზა ამიერ-კავკასიისა,
შემცველი მრავალ სადგურთა და მრავალ შტოთა სიისა, —
გადმოიარა ბორჩალო და ველი ყარაიისა,
სადაც ქოობებს მზე ლანძავს წითელი დარაიისა.

მრავალ სადგურზე ესედან წარწერას მოჰკრა თვალი:
„თავს გაუფრთხილდით, არა სვათ აუდუღარი წყალია“, —
მაგრამ კუბებში — მწყურვალმა წყალის სულ ვერ სცნა კვალია, —
გადახტა ქოობის პირად და მუნღა გუბე დალია!..

ბოლოს მიადგა ნავთლუღსა, სად სადგურია დიდია,
სად უამრავნი პოეზდნი წამის-წამისად ვლიდიან,
სად ხშირობს კატასტროფები, რანიც ზიანსა ზრდიდიან, —
რამე თუ მრავალი მოხიოეს საქმე ფეხებზე ჰკიდია,

ღღე ერთი დაჰყო უხილავ არ დაუტევა ზღვარია,
ნახა საქონლის სადგური და კვლავცა მაცივარია,
სად ხილს და მალფუჭს საქონელს სდის ლპობის ნიაღვარია,
რადგან კერძოსას ჰგზავნიან და „პლოდოვოშს“ კი უარია

დაუდევრობამ ასეთმა გულს დასდო ქმუნვის ვარაყი.
საღამოს შეხვდა ლოთ პოეზდს — სცნა სინამდვილის არაკი:
ჩარჩით მოაქვთ პარტიობითა ღვინო, თუთუნი არაყი!
ჩანგალზე ბევრ აგო, — ცხვირი ბევრს უქნა ნანაყი.

დაუტევა ნავთლუღი და კვლავ ტფილისად გამოსწია,
გზად ისრები დაეკეტათ, სადგურს გვიან მოაღწია.
გარდამოხტა, გაეშურა, სადაც არის დირექცია.
რომ ინახ საჩივლელად პოზდეევი — ჩვენი ძია!

აირბინა კიბეები, — დაღლილობით ძლივსა ქშენდა,
წინ შიკრიკი შეეყარა, იატაკს რომ კალთით სწმენდდა,
რქვა: — ვინა ხარ, სით მოსული, რა საქმე გაქვს ყმაო ჩვენდა? —
დირექციას კლუბში ნახავ, სადაც მიდის შტატის წმენდა,

ტარტაროზ კლუბად მოიქცა, შევლო ეზო და დირენი,
დარბაზად მსხდომნი იხილა ხალხნი დიდნი და მცირენი; —
გამწმენდნი მავნეთ ეძებენ — მართ ვითა მონადირენი,
გასაწმენდნი კი — წარბშეკვრით სხედან მუნ განაცხვირენი

გამოიძახეს ტრიბუნად „ჭაბუკი ვინმე“ მწყაზარი,
ცხვირ ქარხლოვანი ლოთობით, — ბოხი ხმა ჰქონდის საზარი, —
ღიპოვანს თითქოს შთაენთქას მთლად დეზერტირის ბაზარი —
სცან: ის საჩვენოდ არ ვარგა — კოლხ იყოს, თუნდაც ხაზარი!

— მე ვმსახურობდი ჟანდარმათ, ვარ ჩინოსანი განაო,
„ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა“ მფარველად ამიყვანაო,
მებრძოლთ უტირე ყოფის დღე, ციხეს დავალპე თანაო, —
ბოლოს კი ოქტომბრის ქარმა — ტრანსპორტზე მომიყვანაო..

აგერ წარმოსდგა მეორე — ბაკენბარდოვან ლოყებით, —
გუბერნატორად ნამყოფსა, მენდლები ჰქონდა ოყებით
რქვა: ჩემთა ნაქნარ საქმეთა — მე აქ თავიდან მოვყვები:
მეფის ერთგული გახლავართ, მებრძოლთ კისრად ვდე თოკები...
— „მებოქაულად ვიყავი“, ამბობს სხვა — „კილო-ტკბილათა“
— „მე კამერგერი“... „მე ღვდელი“... ლაპარაკობენ წყნარ ადა.
— პროვოკატორათ ნამყოფი მსჯელობას წყიბს ფრთხილათა,
მაგრამ მას სცნობენ მუშები ნიღაბს იფარებს ტყვილათა...

ტარტაროზ სმენად გარდიქცა — სჭვრეტს მართ თუ საჭვრეტავია,
ამბობს: ამდენმა „ყოფილმა“ სად მოიყარა თავია,
განცაკვირვება არა ჰხამს, რაც ტრანსპორტს სჭირდეს ავია,
რადგან რკინის გზას გულს უკორტნს ბევრი ყვავი და სვავია,

რა მდინარესა სათავით მღვრიე დიოდეს წყალია.
ბოლოში არვინ მოძებნოს ამმღვრევ მიზეზთა კვალია,
ეგრეცა ჩვენი ტრანსპორტის მესვეურების ვალია —
გასწმინდონ მისი სათავე, მავნებელთ სთხარონ თვალია!..

თქვა და კლუბი მიატოვა — სადგურისკენ მინაშურმა,
რომ იხილოს მის ჩანგალი მცხეთამ, გორმა თუ ხაშურმა,
ჯავნებლები ამ ხაზებზეც ბლომად ნახოს, როგორც ხურმა, —
თუმცა ჰპოვოს სხვაი ნაკლი, მოსპოს მისმა სამსახურმა!..

ჩანჩაბირ

მიზეზი



— მუდამ იგვიანებდი მოსვლას და ეხლა კი...
— ცოტა მოითმინე; გამოვიდეს „ტარტაროზის“ სპეციალური რკინის გზის ნომერი და მერე მე ვიცი!

(ვ. მამაცევი).

გაუფრთხილდით ქუდებს.

შეღამდა ოდნავ თუ არა,
სადგურს ვეწვიეთ „სპეცები“,
იქ სანადირო ბევრია,
მსუქან ფულების ტკეცები.

სადგურის ორივ მხარეზე
გამწკრივებულან კასები,
მათ წინ ულეველ კუდებათ
დგანან ქალები, კაცები.

ჩვენც შეუდექით ჩვენ საქმეს.
ჩამოვიფხატეთ ქუდები,
რომ უფრო კარგად გავსინჯოთ
მსუქან - მსუქანი კუდები.

ვდგავართ, ვფუსფუსებთ, ვითომ-
ცდა
გვსურს ბილეთები ავიღოთ;
გულში კი ვფიქრობთ: ხელები
ჯიბისკენ როგორ წავიღოთ.

ამოვაცალოთ ზოგს ათი,
ზოგს ოცი და ზოგს სამოცი.
არ დარჩეს ...ოსინჯავად
არც ერთი ტანისამოსი.

ხალხი ვაგონებს მიაწყდა,
ჩვენც თან წავყვილთ ქარივით,
უყვირა მატარებელმა
...ანით დალადრულ ხარივით.

...იფრინავს მატარებელი
...ა რევიზორიც არა სჩანს.
...კბილად მძინარე მგზავრებს
...ავხდით, პატრონად, დარაჯად.

ვეკვეთედ შეკრულ ხაბაკებს,
გადმოვალაგეთ ნივთები;
მატარებელზე უსწრაფეს
აგვიმოძრავდა თითები.

აჰა, ბათომიც. რევიზორს
ალბათ თუ სძინავს კუპეში,
ჩენ კი ნაქურდი ფულები
ტკბილად გვიწყვია უბეში.

ვირთხა.

ექსპრესში აზირებული მტატი

მისრიალებს რონოდა...
მიგრიალებს ბორბლები...
მატარებლის ბოლოდან
თავს რომ გავუსწორდები,—
მისდევს რონოდს რონოდა...
ცხელი მტვერის ბუღითა
გაჟღენთილა ჰაერი...
საფუტბოლო წუღითა,
როგორც იავარელი,
ვსუნთქავ მტვერის ბუღითა.
გამოვაღე ფანჯარა
და შიგ გავყე თავი მე;
აქაც სივრცის თაკარა
პირში მეცა,—ვაი მე!
გამოვხურე ფანჯარა...
სავარძელში ჩავეშვი,
აქაც რომ არ მშორდება,
რა ჯდომაში ნაგეში
ვარ, სულ მიმეორდება,
რომ ვეგდო სავარძელში!..
შვებულებაც არ ... ელის,
რომ მიმაფრენს ექსპ...ესი...
ცოდვა ჩემი მნახველის
მას, ვინც შექმნა ეს წესი!
ბიუროკრატს რა შველის?!.
სად ხარ, ჩემო მაგიდა,
თავის საწერ-კალმითა,
ამ რონოდით გაგიტან
ზეორეში კრძალვითა
და იქ დაგდგამ, მაგიდა!
ამ სიცხეზე ბრძანებას
მე გამოვსცემ მეტად მკაცრს,
ნეტა, იჩენს რა ნებას,
რომ გაწვალებს ასე კაცს?!
ვძლევ სასტიკ ბრძანებას:
შეჰკრას გუდა-ნაბადი,
ჰიშალოს აქიდან!
ეს ხერხი მაქვს ნაცადი,
მოვიშორო თავიდან
სხვისი გუდა-ნაბადი!
ჩემს კანცელარიაში
ვინ გამიწევს ურჩობას?
აქ ეს სიცხის რიაში
იჩენს ამ ტუტუცობას,
ბრაზი მახრჩობს ყიაში!
ულონო ვარ, ულონო,
ვზივარ კი სავარძელში,
აბა, რა მოვუგუნო,
სიცხე გავწყვიტო წელში?...
ვაი, რომ ვარ ულონო!..
ამ ფიქრებში ჩამთვლიმა...
დამხვევია ბუზები...
მისრიალებს მაშინა,
მიჰქრიან მთის კუზები,
თითო რომ სჩანს აქლემად!..
ზოგიც კიდევ—სპილოდა...
ზგერ ერთი მე ბუზი,
ცხვირზე სასაცილოდა
დაბასკუპ-დანაკოზი,
მიჩანს უკმეხ სპილოდა!..
რონოდაში გრილოდა...
სავარძელში ვხვრინავდი...
ბუზო, სასაცილოდა
ჩემს ცხვირს თავს დაჰფრინავდი
უზარმაზარ სპილოდა!..
და თითქოს არაფერი!
თითქოს შევეჩვიე მე...
წითელ მელნით ნაფერი
კალმით მოვარხიე მე:
„ოი, სიცხე ამ ფერი!.."
მისრიალებს რონოდა...
მიგრიალებს ბორბლები...
შორეულ მთის ბოლოდან
ცას მოსცვივა დორბლები,
ვით სდევს რონოდს რონოდა!..

მაზირა.

სოფლიდან ერთი დღით ამოვედი ქალაქში.

— მადლობა უფალს და „ტარტაროზს", ბიუროკრატიზმი აღმოუფხვრიათ ქალაქის დაწესებულებებში: სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მომიხერხეს (ნაცნობობით) ჩემს განცხადებაზე ხელის მოწერა და ბეჭდის დასმაც (აქ უკვე ნათლიმამა დამეხმარა, იქვე მსახურობს).

დავაპირე უკან დაბრუნება, რასაკვირველია, რკინის გზით და ტფილისის რკ. გზის სადგურის სალაროს წინ ჩავდექი რიგში.

— ნუ მაწვებით, თუ შეიძლებოდეს!
— ნე ნაეიმაიტე ტოვარიშჩ!
— კაცო, დეიხიე უკან!
— მეიცა ბოშო, გევიჭყლიტე!
— დაიცა, შე ჩემანალა!
— ვაჰ! ფეხმძიმეთ რომ ვიყო, ხომ აქვე მომალოგინებდენ, ისე მაწვებიან ყოველი მხრიდან!
— კაცო, ნუ მაწვებით, მილიციონერ-რ-რ, მიშველეთ!...

ეს არის მეათასედი იმ მუსაიფის, რომელიც ფრიად მაღალ კილოზე (არსებითად ყვირილით) სწარმოებდა სადგურში, რიგში ჩამდგარ მოქალაქეთა შორის.

— ამისანა ქურდობასაც რა ვუთხრა! მეხუთე სადგური გამოვიარეთ და ძლივს-ღა დაეძინათ ამ ოხრებს!

სად არის წესრიგის დამცველი?

არსად. ძებნაც ამაოა,

სულ რაღაც 6-7 საათი ვიდექი რიგში და ისე გამაუთოვეს, რომ ჩემს თავს ვეღარ ვცნობდი: მე არსებითად მრგვალ კაცად ვეთვლები და რიგში დგომამ უცებ გამაბრტყელა, როგორც... მუშკოოპის ფარგა.

როგორც იქნა, მივაღწიე სალაროს.

— აბა თუ ძმა ხარ, ერთი ბილეთი...

უცებ, მაშინალურად დადგენ ჩემი თმები (სულ ბთიოდე ღერია) ყალხზე: არა თუ მარტო ფული, თვით ის ჯიბეც კი წაელოთ, რომელშიაც იდო ჩემი კაპიტალი... ჩემი ჯიბე, რომელიც მეოთხედი მეტრი შევიოტის და ამდენივე ნარმის ნაჭრებიდან შესდგებოდა, სადღაც გამქრალიყო, მთელი თავისი მოცულობით...

ავყვირდი, დავყვირდი, მაგრამ სად არის პატრონი?... გამწარებული გავიქეცი იმ პატიოსანი კაცისკენ, რომელსაც ბარგი დაუტოვე (გადავსწყვიტე უკან დაბრუნება)... სად არის ჩემი ბარგი... ისიც მოეპარათ იმ პატიოსანი კაცისა...

შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ალბათ გული წამივიდა.

მხოლოდ მესამე დღეს მივაკითხე რკ. გზის სადგურს (ფული ვისესხე ნაცნობებში). ისევ რიგი, ისევ ყვირილი, ისევ ის დიალოგები, ისევ ექვსი საათი რიგში დგომა და გაუთავებელი ექსკურსანტები რიგს გარეშე—სალაროსთან.

იმ დღეს აღარ გაუქურდავარ არავის. მე მხოლოდ მოწმე ვიყავი, თუ როგორ მოსდიოდა ისტერიკა გულუბრყვილო ჯიბედაჭრილ მოქალაქეებს.

ბილეთი ჯიბეში (მოუჭრელ, მარცხენა ჯიბეში) ჩავიდე და როგორც იქნა, ბაქანზე გავედი. იქიდან ვაგონში და შემდეგ მაღლა თაროზე მივეგდე მოქანცული.

აღარ მახსოვს, ეს სადგური იყო ხარაგოული, ხაშური, მოლითი თუ ყვირილა. მახსოვს მხოლოდ, რომ ობერმა გამაღვიძა:

— აბა ბილეთები! თქვენი ბილეთი მოქალაქევ!

მარცხენა ჯიბეზე გავივლე ხელი, რომ ბილეთი ამომეღო და დამემტკიცებინა კონდუქტორისთვის, რომ მე ვმოგზაურობ სრულიად კანონიერად, სათანადო ბილეთით...

ვაიმე, ჩემო მარცხენა ჯიბევ! ალბათ ვეღარ გაუძელ მარტოობას (მარჯვენა ხომ უწინ მომაჭრის) და შენც განუტევე სული... დავდექი ფაქტის წინაშე: ჩემთვის ძილის დროს მარცხენა ჯიბეც მოეჭრათ...

— ვი... ი, ვიცით, თქვენისთანებიც გვინახავს, უბილეთოთ წამოსულხართ და ჯიბე განგებ მოგიჭრიათ, ვითომ ჯიბე ბილეთიანა მოგპარეს,—უმწვავესი ირონიით მითხრა ობერმა და უბრძანა გავეგზავნე საცა ჯერ იყო.

შემდეგ რა მოხდა ღარც ის მახსოვს. ალბათ კიდევ დავიბრიდე. გონს მხოლოდ მაკრატლის ხრაჭუნმა მომიყვანა. თვალი გავახილე, რომელიღაც სადგურში ვიდექი (ალბათ გზაში დამტოვეს). ირგვლივ ბნელოდა. ვიღაც სუბიექტი მომდგომოდა და გულმოდგინით მაჭრიდა დარჩენილ გაზეთებით სავსე ჯიბეებს.

აქ უკვე გონი მომივიდა. ამ ოხრებს ჩემი ჯიბეების დაჭრა იჯარით ჰქონდათ აღებული, თუ რა ეშმაკი დაემართათ...

— შე ოჯახაკეტიანო, რომ ჭრი მაგ ჯიბეებს, ჯერ ნახე, არის შიგ რამე თუ არა...

ალბათ შერცხვა იმ ოხერს: უცებ გაიპარა...

რა დიდი შრატი ყოლია ამ ჩვენს რკინის გზას ჯიბის მჭრელების, რომ არც ერთ ჯიბეს აღარ შეარჩენენ! თუ მგზავრობა მოისურვოთ, გირჩევთ ჯიბეები სახლში, ვინმე საიმედოს (ოღონდ არა ცოლს) დაუტოვოთ...

ალლარ-ა ალლარხან

მესაფლავე

ს—ტფილისის უმფროსი აგლაძე მუშათა გამომგონებლობასა დ მითითებებს იოტის ოდენა ყურადღებასაც არ აქცევს.

ოთხთვალა.

— ასე არ სჯობია! ესენიც მოსვენებული არიან და —მეც!

თანამედროვე ანდაზები

✦ ორთქლმავალმა თქვა: კარგი პატრონი რომ მყოლოდა, კიდევ დიდხანს ვიცოცხლებდიო.

✦ ლოთი მემანქანე მატარებელსაც დაამტვრევს და თავის თავსაც.

✦ გამცილებელმა უბილეთო მგზავრი დაიჭირა და ობერმა პროცენტები ჩაიდვა ჯიბეშიო.

✦ ტფილისიდან ქუთაისში მიმავალმა მგზავრმა ბილეთი მცხეთამდე აიღო, სულერთია, მცხეთის იქით ღარ მომთხოვენო.

✦ ხაშურის ბუფეტში მოსადილემ, მეორე დღის სადილის ფულზედაც უნდა აიღოს ხელიო.

✦ ისე მტერმა ვერა მავნო, როგორც ნუნუას ყლაპკამო.

✦ თუ მოლარე გწყალობს, ბილეთისთვის რიგში დგომა არ დაგჭირდებაო.

✦ სამმართველოს წმენდაო, რად მიტირე დედაო!

✦ ერთგული მუშა მალე დაწინაურდება, ზარმაცი კი ძველ თანამდებობასაც დაკარგავსო.

✦ სადგურის მორიგემ მატარებელი დაამტვრია და დარაჯს დააბრალა: ეძინაო.

✦ მემანქანეც არის და მემანქანეცო.

✦ თუ პროტექცია გწყალობს, კავშირის წევრობა არ გინდაო.

✦ რა ქნას კარგმა ორთქლმავალმა, თუ პატრონი ცუდიაო.

✦ გიგო დათვრა სვირითაო, მიწა მოხნა ცხვირითაო.

✦ აგარაკზე წასვლა მას უხარის, ვისაც წყალობს ექიმიო.

კირილე ხაფირჩხილელი.

ფხიზელი აგენტი

ასანურში გაჩაღებული დღეობა იყო. არ იყო ისეთი ოჯახი, რომ ქეიფი არ ყოფილიყოს, ყოველ მხრიდან ისმოდა „მრავალ ჟამიერი“ და სხვა სიმღერა.

რკინის გზის სადგური დილიდანვე დაცალიერდა. ყველა მოსამსახურენი უფროსის გიორგი ბოქლომაძის მეთაურობით ადრეცე გაიკრიფენ ასანურში.

სადგურში დარჩა მხოლოდ მარტო ძველი, გამოცდილი მეისრე პეტრე, რომელიც ღებულობდა და აგზავნიდა მატარებელს.

საზოგადოთ ცნობილია, რომ რკინის - გზელები კარგი მსმელნი არიან. წნორის - წყალის ბიჭებიც კაი მსმელები იყვენ. ბოქლომაძე, როგორც თამადა, ყველას აცლევინებდა ჭიქებს.

— აბა დალიეთ, ბიჭებო, დალიეთ; არ იფიქრონ კახელებმა, რომ იმერლებს ვაჯობეთო! — ხშირ ხშირად ხუმრობდა გიორგი და ამხანაგებს აცლევინებდა დიდრონ სასმისებს.

მოსაღამურდა. ყველა ძალზე მთვრალი იყო. ბოქლომაძემ უკანასკნელად მოითხოვა დიდი ყანწი, წამოდგა და დალია უკანასკნელი სადღეგრძელო.

— ამხანაგებო, ეს უკანასკნელი სადღეგრძელოა და სასმისი უნდა დაიცალოს. ყველანი ვადღეგრძელეთ, დაგვრჩა უდღეგრძელებელი ჩვენი მასპინძელის ძაღლი, კატა, ხარ - კამეჩი და თაგვი. რას ვერჩით საწყალ თაგვს. მასაც ცხოვრება უნდა და მასპინძელის მოსავალში მასაც წილი აქვს. გაუმარჯოთ მათ.

სადღეგრძელომ საერთო ხარხარი გამოიწვია. ყველამ დალია, სუფრიდან წამოიშალენ და სიმღერით სადგურის გზას გაუდგენ.

კარგა შეღამებული იყო, როდესაც სადგურს მიაღწიეს.

— უმაწვილებო, — როგორც ვხედავ ისე მთვრალები ხართ, რომ აღარაფრის თავი არ გაქვთ. წადით თქვენ თქვენ სახლებში. დღეს იმდენი საქმე არა გვაქვს. მე როგორც თქვენზე უფრო ფხიზელი, წავალ სადგურში; ორი მატარებელი არის მისაღები და ერთიც გასაშვები. მე და ჩემი მეისრე მოვახერხებთ! — მიმართა ბოქლომაძემ ამხანაგებს.

წმენდა რკინის გზაზე



— რა იყო ქალო, გამგე გასწმენდეს და მოხსნეს, თორემ შენ ხომ არა! ამისათვის რა გაკივლებს?

— როგორ თუ რა მატარებს! ის იყო ჩემი პროტექტორი!

ამხანაგებმა მადლობა გადაუხადეს.

ბოქლომაძე შევიდა სადგურში. გამოჰკითხა ყველაფერი მეისრეს, რაკი ყველაფერი რიგზე იყო, მიუჯდა მაგიდას. თავით ხელებზე დაეყრდნო და მყისვე მაგრად დაიძინა.

კარგა ხანი ეძინა ბოქლომაძეს. მეისრემ ერთი მატარებელი მიიღო და მეორე გაამზადა, გაუღო ნიშან-სვეტი, გაუკეთა ისარი და ელოდა.

ბოქლომაძე ხედავს, რომ მარტოთმარტოა სადგურში, ყველანი სადღაც წასულან. სადგურს უახლოვდება სამგზავრო მატარებელი, მეისრე არსად სჩანს. მატარებელი კი დაკავებულ ხაზში უნდა შევიდეს, და იქ მდგომ შემადგენლობას დაეჯახოს.

მატარებელი მოახლოვდა. კატასტროფა აუცილებელია.

უკვე მოისმა დარაჯების ხმა და საშინელი ხმაური. მატარებელი დაიმსხვრა.

ბოქლომაძე ზეზე წამოვარდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მან კაბინეტში შემოსულ მეისრეს.

— არაფერი, მატარებელი მივიღე და გაუშვი.

— მაშ ეს სიზმარი ყოფილა; მადლობა ღმერთს! — პირჯვარი დაიწერა ბოქლომაძემ და ტახტზე მიწვა ისევ დასაძინებლად.

კიკოლა.

მატარეგლის ჩივილი

„ტარტაროზ“, მომისმინე,
დავკარგე ღონე, ძალი!
ყველა მე ამეკიდა—
კაცი, ბავში და ქალი.
ძლივს და მოვათრევ ფეხებს,
ენეშით ღონდება გული,
ჩემთვის არავინ ზრუნავს...
ვარ დამწვარ - დაჩაგრული!
დისპეტჩერების მომგონს
დაეჭცა სახლი, კარი,
რქებში ჩამაბეს თოკი,
გამბაწრეს როგორც ხარი!
მე რომ მცხეთაში მივალ,
მათ ვყავარ უჯიგ გორში;
ჰგონიათ, იქ ვსაღილობ
ცივი პურით და „ბორშით“.
და დავალ მუდამ ასე
ვაი-ეეით და ბრეევით;
ჩემზე ვერ იმოქმედეს
კაი სიტყვით და რჩევით!
პრ[illegible]ში კი ვკითხულობ:—
რიგზეა ყველაფერი,
დიდი ხანია თითქოს
ვეცვალა ყველას ფერი:
დავალთ სწრაფად და მწყობრად,
არსებულ განრიგებით...
და ამით პოზდევიც
გამოდის ჩვენის ქებით!
ნეტავ იცოდეს ზუსტათ
რა დღე გვადგება შავი;
რამ[illegible]ეა ამ ტანჯვაში
გაიხმო თვისი თავი!?

კ—ლი.

სადგურებზე

ბათომი.

სალაროს წინ რიგში ჩამდგარს
დაინახავ მილეთსაო;
„ნაჩალნიკი“ თუ არ გიცნობს
ვერ აიღებ ბილეთსაო.

ჩაქვი.

აქ ბუფეტში თუ შეხვედი
პურ - მარილის სურვილითა,—
ფეხი „გაგიჩიკინდება“.
შიმშილით და წყურვილითა.

ქობულეთი.

— სად. ყოფილხართ, რა გინა-
ხავთ?
აქ მორიგე არ გინახავთ?
— რესტორანში შეიხედეთ,
უსათუოდ მას იქ ნახავთ.

ნატანები.

ხოცშეჯიბრი გაუმართავთ
ბაყაყებს და კოღოებსა,
დარბაზია დაკეტილი,
ბაღში სძინავთ გოგოებსა.

სუფსა

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის
შაირია ამით კარგი“,
ერთ თვეს უნდა რიგში იდგე,
რომ გაგზავნო ფუთი ბარგი.

ლანჩხუთი.

მაკრინე და მარიკელა
ვერ წასულა ბახმაროსა,—
მაღ ჩვბლიებს უხვდებიან,
დაეძებენ საქმაროსა.

საჯავახო.

აქ ბაქანი მოგაგონებთ
სქათმეს და ვირის ბაგას,
ხშირად კრივიც იმართება
და გაისმის: — დასცხე მაგას!

სამტრედია.

სამტრედიის ბაქანზედა
სამჯერ ასი მტრადიაო;
რონოდიდან გადავხედე
თვალი დამაბნედიაო.

რიონი.

აქ სადგურში ბლომად ნახავთ
ნიკოს დროის „გვამებს“,
„ნაჩალნიკი„ ჩხაიძეა,
ხშირად იღებს ქრთამებს.

სვირი.

გადაკრა მემუხრუჭემა
ნუნუა „ოხერ - ტიალი“.
თავბრუ დაეხვა, მას თვალწინ
ქვეყანამ იწყო ტრიალი.
გაფრინდა მატარებელი,
გამოჩნდა ზესტაფონია,—
და მემუხრუჭეს კი თავი
ბაღდადში ჰგონია.

ზესტაფონი.

ყვავილებით ნიკომ მაკოს
მოუქარგა გიშრის თმანი
და სადგურზე „დოლ/ვინეას“
დაუნიშნა პაიმანი.
„დახვდა“ მაკო მატარებელს,
მაკო ნიკოს შეეხვეწა;
პაემანიც გაიჩარხა,
ჩინებული, „იმე ბეჩა“.

შორაპანი.

ხიდ გაღმა და ხიდ გამოღმა
ბანდალობენ ლოთივითა;
დადნა გული ჭიათურის
მატარებლის ლოდინითა.

ძირულა.

მგზავრებს ნახავთ უსკამობით
იატაკზე მწოლარეხა,
ხურდის თავარს „ალოცებს“
ამ სადგურის მოლარესა.

ხარაგოული.

წყარო გადმოქუხს მთებიდან
ანკარა გულის წამალი...
ბაქანზე ფოქსტროტს ცეკვავენ
ღორი, ცხავარი და მამალი.

მედუზა.



თუ ძმა ხარ მითხარი —სად იშოვე ასეთი მშვენიერი სახალათე ტილო?

— ზეწრიდან შევიკერე, ჩემო კარგო, ზეწრიდან.

— ზეწარი სად იშოვე?

— მატარებელში.

— მოიპარე თუ?

— არა, ვიყიდე.

— ვერაფერი გამიგია!

— ამას რა გაგება უნდა... შენც კარგად იცი, რომ მე, როგორც სპეცს, ხშირად მიხდება მივლინებაში სიარული. ჰო-და, ყოველთვის „საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონით“ ვმგზავრობ. ვაგონში, ალბად შენ იცი, ლოგინს უშლიან მგზავრებს ღამით და აი ასეთ ტილოს ზეწრებს აფარებენ ლეიბს.

— მერე-და მოიპარე?

— დამაცა, კაცო... ძალიან მომეწონა სახალათეთ, საუცხოვო ტილოა. დილით ზეწარი ჩემს ჩემოდანში ჩავდე (არ დაგავიწყდეს, რომ ორადგილიან კუპეში მარტო მე დავრჩი დილით). კონდუქტორს ვუთხარი:—ყვითელი ხსნარი მქონდა ბოთლში. გახსნის დროს ბოთლი ხელიდან გამივარდა და შენი ზეწარი დასვარა, გააფუჭა. ზეწარი ფანჯარაში გადავაგდე, რადგან საზარელი სუნი ჰქონდა. რაც ღირს ზეწარი ფულად გადვიხდი. „

წავიდა კონდუქტორი პრეისკურანტის მოსატანად. ამ ხანაგს უთხრა ეს ამბავი. ყური მოვკარი მის ლაპარაკს:

— მესამე კუპეში რომ გაბერილი სპეცია, წუხელის მას საჯაყი საქმე დაემართა: ძილში მას..!—და ყურში რაღაც წაუჩურჩულა. ორივემ სიცილი დაიწყო.

— მერე?

— მერე-და ჩვენი ზეწარი სულ დაუსვრელებია, გაუფუჭებია სადღაც გზაში გადაუგდია.

მივხდი რაც უთხრა ჩემს შესახებ, მაგრამ რა მენაღვლებოდა, როცა სახალათე ჩემოდანში მქონდა.

მატარებელში ჩემი „ამბავი“ კონდუქტორმა თურმე ყველას უამბო.

გადავიხადე ზეწრის ფასი.

როცა კარიდორში გამოვედი, მგზავრები ერთმანეთს უჯიქებდენ და დაცინვით ჩემზე უჩვენებდენ.

შემრცხვა. ჩავჯექი ჩემს კუპეში და ბათომამდე გარედ არ გამოვსულვარ.

აი, ახე მაქვს შეძენილი ეს თეთრი ხალათი. შენც თუ გინდა ასეთი თეთრი ხალათი, იმგზავრე „საერთაშორისო მიმოსვლის ვაგონით“ და შენც ჩემსავით მოიქეცი.

ისელი.

მგზავრობა ლ

— ორშაბათი დასასვენებელია, ორი დღით თავისუფალი ვარ. წავალ კახეთში მოვინახულებ შინაურებს და თანაც ხელს გამოვაყოლებ ცოტაოდენ სანოვაგეს.

ასეთი საქმიანი წინადადება შევიტანე ჩემი ოჯახის საწარმოო თათბირზე. „თათბირმა“ მოიწონა ეს წინადადება, მომცა სათანადო ნაკაზი და შაბათ-საღამოს ცარიელი კალათებით, ბოთლებით (ისიც ცარიელი, რა თქმა უნდა) დატვირთულმა გავსწიე სადგურისაკენ.

სალაროს წინ უკვე ხუთწუთით იყო რიგი ჩამწკრივებული. ადამიანების „კუდებს“ ლოპესავით ჰქონდა შემოვლებული უზარმაზარი კალათების, დალოცვილი ჩემოდნების, ხელკასრებისა, ხურჯინებისა და ღვინის დიდი დოქების მწკრივი. რასაკვირველია, ეს კახეთის მატარებლის ბილეთების რიგია, — ვერც ერთ სხვა მატარებელზე მიმავალ ხალხის გვერდით ვერ ნახავთ ასეთი ინვენტარის „ოჩერედს“.

მგზავრების დიდი ნაწილი ... თავისუფალი ყაიდის ხალხია. აქ იცნობთ „კახური კონტრაბანდით“ მოვაჭრე ჩარჩებს, რომელთაც ჩუმად ჩამოაქვთ თამბაქო და ღვინო-არაყი ... ... მგზავრობაზე 10—15 ფუთი ტვირთის წამოღებას ახერხებენ. სამგზავრო ვაგონით. ამიტომ არის, რომ კახეთის მატარებელში მგზავრებს ყოველთვის სჭარბობს ტიკებისა და ხურჯინ-ტომრების რიცხვი.

სალაროსთან ჩამწკრივებულ კუდის ბოლოში მეც ავიტუზე. ჩემს წინ ორი საეჭვო გარეგნობის მგზავრი მასლაათობდა:

— ვაჰხ! ზაჰლა წაიღეს რაღა ამ პრაზნიკებითა, ხედამ რამტოლი ხალხია? ხვალ უკანვე წამოვლენ და პოეზდში ადგილი აღარ იქნება, რომ კაცმა ერთი ხუთიოდე მესტა ბაღაჟი წამოიღოს!

— მეც მაგას არ ვამბობ? აბა ერთი ამ მუხისთავს უყურე (ჩემზე ანიშნა) რამტოლი რამე მააქვს, სამი კაცის ადგილი მარტო მაგას დასჭირდება.

— ჰოო, მერე რა მაზალო მუავე სიფათი აქვს და გალანცკის მამალივით რო აფხორილა.

— ეჰ, მაგის სიფათზედაც გავიარ-გამოვიარე და კანც მე ერთი დარდი მაწუხებს: წნორში ერთი ღორი მყავს ნაყიდი, ცოცხლათ მინდა წამოვიყვანო და არ ვიცი როგორ მოვახერხო.

— ვა, არ იცი, რომელია? დაათვრე, მეშოკში ჩადე და სკამეიკის ქვეშ შეაგდე. რაღა, ისე გატრუნული ჩამოვა ქალაქში, რომ ხმა არ ამაიღოს მააშ!

— როგორ დავათრო, კაცი ხომ არ არი? გეშნები — ღორია მეთქი!

— ღორი იფრო ადვილათ არა თვრება? ერთი ტრიცეტკა არაყი ჯამში ჩაასხი, შიგ პური დაალბე. აჭამე. ისე გამაიბრუვება, როგორც წინანდელი ბოლოლოწო გარადოვი, — სადაც გინდა წაიღე, სადამომდისინ ხმას არ ამაიღებს...

სალარო გაიღო. „კუდი“ აჩოჩქოლდა, შეიქნა მიწოლ-მოწოლა. კალათები და ხურჯინებიც ამოძრავდენ.



ინდუსტრიალიზაციის ტემპი და მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპოზიცია

— ერთი ბილეთი წნორიპთვინ მამე, ერთიცა მელაანი ტანციისა იყოს! — მიმართა მოლარეს — წინ მდგომმა გლეხმა.

— არ შეიძლება!

— რაი ამოფ ოიპტატო, რატო არ შაიძლება?

— არ შეიძლება და მიტომ!

— ბიჭო, ე სადაური კანონია, პოეზდშია ბილეთი არ შაიძლებაო, მა რა ჩემი ფეხები

ხი იმ ჩარჩის, რომელმაც ჩემს „სიფათზე“ შაიძლება? თქვენი... (თან მადიანათ დაიგინა) შე ქითაბძაღლო, მაშ ხურმაი ხო არა ჰყიდი?

— გაგრი! მიტომ არ შეიძლება, რომ თვითეულ მყიდველს მარტვანა, ერთი სადგურის ბილეთის ყიდვა შოუძლია და არა ორის! — „განუმარტა“ ზრდილობიანათ მოლარემ, რომელსაც ალბად ზედმიწევნითა აქვს შეთვისებული გზათა უფროსის ცირკულიარი იმის შესახებ, რომ რკინის გზაზე მომუშავენი ზრდილობიანად მოეპყრან გლეხებსა და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მათ...

ამ ლაპარაკის დროს, სალაროსთან გაჩნდა ახალი რიგი „ნასილშჩიკების“, რომელნიც სათანადო გასამრჯელოს ფარგლებში, რიგს გარეშე უღებენ ბილეთს დაგვიანებულ და ფულიან მგზავრებს (სხვადასხვა სადგურებზე რასაკვირველია).

თუმცა ხედავ, რომ ეს უსამართლობაა, როცა სამი საათით ადრე რიგში ჩამდგარ მოქალაქის ცხვირწინ, ახლად მობრძანებულ ვინმე ღიპიანი სპეკულიანტისათვის ღებულობენ ბილეთს, მაგრამ რას იზამ! სადგურზე ასეთი „წესია“ და წესს ხომ ვერ დაარღვევ?

— **უკანა** ვაგონში, აქ ადგილი არ არის! — თუთიყუშივით გაიძახოდა კონდუქტორი.

როგორც იყო რომელიღაც „უკანა ვაგონის“ ასავალთან ყალყზე შედგა ხურჯინებისა და კალათების „ტალღა“ და მისი ზვირთები უკვე შეიჭრა ვაგონში; იმართება ხელჩართული ბრძოლა, კიბეზე ისმის გულ გამგმირავი გადმოძახილები:

— მიშველეთ, გამჭყლიტეს. ხელი, ხელი მომტყდა..., ვაიმე ფული ამოულლიათ, მოიცა შე ბრიყვო, როგორ მაწვები ზრდილობა არა გაქვს? (ქალის ხმაა) ოცი მანეთი შლიაპაში მიმიცია, ნუ დამიჭყლიტე შე უზრდელო!

— ვა, ოც მანეთიან შლაპკას მაგ ორ კაპიკიან თავზე რო იხურავ, არ იცი, რომ დაგიჭყლეტამენ? — ისმის „საბოდიშო“ პასუ-



გავლა - გამოვლის სურვილი გამოსთქვა. (მეორე ჩარჩი ჯაგლაგი ცხენივით ხვიხვინებს). ვაგონში შესულია შორის კი უკვე ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული ადგილებისათვის: კალათები და ხურჯინები შეტევაზე გადადიან, ზოგი მარცხდება, ზოგიც მაგრდება დაკავებულ პოზიციებზე. ისმის უწმაწური სიტყვები, გინება, მუქარა. ადგილებზე გამოჭიმულნი მოუწოდებენ დამშვიდებისაკენ და უხსნიან, რომ ასეთ „წვრილმანებისათვის", როგორც დასაჯდომი ადგილებია, არა ღირს ჩხუბი.

— რა ვიცი, შვილოსა, შენ კი მაგრა გაგიბრტყელებია ე დამპალი ძირი ე სკამზედა! — ისმის „გაგრიას" პროტესტი.

— უკაცრავად, არ ვიცოდი თუ თქვენი იყო ეს ადგილი! — ბოდიშით უპასუხე მე. „ქორმა" კიდევ დამაბრიალა თვალები. შემდეგ ხელი დასტაცა ჩემს კალათას და ისროლა ფანჯარაში... პროტესტის განცხადებაც კი ვეღარ გაუბედე, რადგან მოულოდნელი არ იყო, რომ მეც კალათის ბედი მეწვეოდა.

მხოლოდ მატარებლის დაძვრას უნდა დაუმადლო, რომელმაც ქორი თავის ძმაბიჭების კამპანიაში დაბრუნა.

— ვა, შე მუხისთავო, მე რო გავბრტყელებულვარ, ფაბუთიც თავის დროზე დამიჭერია; ნასლჩიკს მანეთი მივეცი, რომ ადრევე დაეზანიტებინა ჩემთვის ეს ადგილი, მაგრ! — ბოლოდ ვაგონიდან.

ჩემი უშნო თავის ამბავი, რომ ვიცი, ვერ მოვახერხებდი ვაგონში შესვლას, ამ კალათებისა და ხურჯინების აბობოქრებულ ტალღას თვითონ რომ არ შევეტანე შიგ.

დავიწყე ადგილის ძებნა. თვალი მოვკარი ერთ - ერთ საწოლ „კოიკას", რომელზედაც მხოლოდ ერთი ასანთის კოლოფი იდო. ავიჩოჩდი, ამოვიღე ჩემი რეზინის ბალიში, გავბერე და ვაპირებდი წამოწოლას, მაგრამ ვიღაცას მრისხანე ხელი ჩამჭერინდა კისერში და როგორც ქორმა წიწილი, ისე ამიტაცა „კოიკიდან". (ჩემი ბალიში სადღაც გაფანტულიყო).

— ჰაამეთქი! გინდა გაგკრა ეშპეტიაშვილური? — ჩამესახა ამ „ქორმა" მრისხანეთ. „ორი" კარკათ შეზარხოშებული იყო და სპილოსავით ბეჭები ჰქონდა. ისე, რომ თუ კი სურვილს გამოვთქვამდი, მარცხლაც მიეღებდი „ეშპეტიაშვილურს".

— უკაცრავად, არ ვიცოდი თუ თქვენი იყო ეს ადგილი! — ბოდიშით უპასუხე მე.

„ქორმა" კიდევ დამაბრიალა თვალები. შემდეგ ხელი დასტაცა ჩემს კალათას და ისროლა ფანჯარაში... პროტესტის განცხადებაც კი ვეღარ გაუბედე, რადგან მოულოდნელი არ იყო, რომ მეც კალათის ბედი მეწვეოდა.

მხოლოდ მატარებლის დაძვრას უნდა დაუმადლო, რომელმაც ქორი თავის ძმაბიჭების კამპანიაში დაბრუნა.

დაშშმინდა ხალხი. მილაგ - მოლაგდა, ყველა, ზოგი ერთმანეთს კალთაში ჩაუჯდა, ზოგი იატაკზე წამოწვა, ზოგმა ფეხზედგომმა ჩასთვლიმა. ვიპოვე ჩემი ბალიში, დაკუბე და ამოვიჩარე იღლიაში, მეტი ბარგი აღარ შემჩრა. გავამართლე ჩემი ცოლის იმედი.

„ბაგრია" იკინის, (ჩემი ბალიში მას სტვირი ჭგონია).

— ხაზინ, მაიტა ე სტვირი მაინც დაუკა ემა ჯავრიან გულზედა!

— უკაცრავად, თქვენ მოხეტიალე მუსიკოსი ხომ არა ბრძანდებით? — მეკითხება მანდილოსანი, რომელსაც „ოცმანეთიანი შლიაპა დაუქყლიტეს".

გაიპა მასლაათი იმის შესახებ, რომ კახეთის მატარებელი ტფილისიდან — ბრაზანი მოდის კახეთში, მაგრამ კახეთიდან ის მხიარული და მოვრალი ბრუნდება უკან; გამოიარკვა ისიც, რომ მგზავრობა აქ გაძნელებულია ჩარჩებისა და რკინის გზელთა ოჯახის წევრების გამო, რომელნიც ყოველდღე დადიან და ვაგონებში ადგილებს იკავებენ მატარებლის ჩამოყენებამდე. გამოვარკვიეთ სხვადასხვა სანოვაგის ფასებიც. ასე გავათენეთ ღამე მატარებელში.

წმორის სადგურზე სულ ადვილია მატარებელში მოხვედრა: ამისათვის საჭიროა „ნასლუშიკ" კარაპეტას (თუ ოსეფს—კარგად არ მახსოვს) მისცეთ მანეთი. ის წინდაწინვე დაგიბეჭდავთ ადგილებს კონდუქტორთან, ხოლო ეს უკანასკნელი არავის შეუშვებს, თო კარაპეტას „პროპუსკი" არ ეჭირება. ეს სადგურის ადმინისტრაციამ იცის, მაგრამ ხომ არ დაუშლის? ხელი უნდა შეეწყოს თუ არა ტფილისისაკენ მიმავალ ჩარჩებს, რომელთაც ბლომად მიაქვთ კონტრაბანდაც. დანარჩენებმა თავი იტეხონ.

ვაგონში შეველ. უკან მომყვა კარაპეტა, ზუზუზე მოკიდებული დიდ ტომარას მოჰყვებოდენ ის ჩარჩები, ტფილისში ღორის დათრობაზე, რომ ლაპარაკობდენ. მაშასადამე, დათრობა უკვე ფაქტი იყო. ტომრიდან მოისმოდა ღორის ყრუ ჭმენა. ის მძიმედ მოათავსეს მაღლა თაროზე.

შემობარგდა ხალხი.

დაიძრა მატარებელი. გაიშალა სუფრები. გაჩაღდა სადღეგრძელოები და გურჯაანში— უკვე კაი გუნებაზე იყო ჩვენი „მხიარული მატარებელი". მას მოებატა თელავიდან მომავალი მეორე ნაწილი, მრავალ-ეამიერითა და „თეთრო ბატო"-ს სიმღერით. ისე, რო გურჯაანიდან ტფილისისაკენ დაძრული მატარებელი უკვე კარგათ გამობუუტული და მხიარული იყო. ამ მხიარულებაში ყველა თანაბრად ღებულობდა მონაწილეობას, — მათ შორის მეც (გუშინდელ „ქორთან" შერიგების ნიშნად ჭიდიც კი დავბეე!). ხოლო ვაგონის გაერთიანებულ სუფრის თამადათ კი ხან კონდუქტორი იყო, ხან კონტროლორი. ვის ახსოვდა ბილეთები?

მატარებელი, რასაკვირველია ჩერდებოდა იქ, სადაც მემანქანე, ან რომელიმე კონდუქტორი კეერცხებს, ვარიებს, ან ღვინოს შინშავდენ გასაყიდს. ზოგიერთ სადგურს კი ჩამოუჭროლეთ გაუჩერებლივ.

ჩვენს მხიარულებაში მცირეოდენი დისონანსი შეიტანა მხოლოდ თაროზე მოთავსებულმა ღორმა, (რომელიც როგორც ეტყობა კარგი მსმელი ყოფილა!) რომელსაც არაყი მალე გამონელდა, მორთო ჭყვირილი, დაფრთხო ვაგონში შემოყვანილი ქათმები, ბატები და შეაშინა ბავშვები. მაგრამ ის კონდუქტორმა საპირფარეშოში შეამწყვდია, და გარედან მიაწერა: „საპირფარეშო დაზიანებულია და თბილისამდე რაცხადერათ მეითმინეთ"!

ამის შემდეგ კვლავ გაიბა მხიარულება, და საღამოს ტფილისს მოადგა ერთად მხიარული კახეთის მატარებელი — სიმღერით, კვარტების ტრიალით, ცეკვა - თამაშითა და ღრიანცელით, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე თვით მატარებლის სარკინისგზო პერსონალიც.

ფარსი.

მიღებულ აბონენტებს ხელმისაწვდომია
გაზ. „ეკონომია" და „ფარსი"-ზე

პატარა მოთხრობები

კოვზი ნაცარში

სტალინისის „ეპომ" საქონელი მიიღო.

ნოქრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საკოსტიუმე მატერია აღმოჩნდა მოტანილ საქონელში.

—რა გიხარია, ბიძია' ვინ მოგვცემს ჩვენ!—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ილომ.

— როგორ თუ ვინ მოგვცემს? ჩვენს ხელში არ არის!? გავინაწილოთ და თუ რამე დარჩება, შემდეგ მივსცეთ მომხმარებლებს?—სთქვა მოსემ.

— კარგია, კარგი!—დაეთანხმენ ზოგიერთები.

— რომ ინაწილებთ ამ საქონელს, ფული გაქვთ?—იკითხა კოტემ.

— ჰო, მართოთა, ფული უნდა საქონელს!—მოაგონდათ და ყურები ჩამოჰყარეს.

— ჭკუის ნატამალი არა გაქვთ— უცბად წამოიძახა ლექსომ—ფული რა საჭიროა. ფულით თუ ვიყიდეთ, ეს რა გამოვიდა! საქმე ის არის, უფულოდ ჩავკასტუმდეთ.

— როგორ? როგორ?—შემოეხვიენ ლექსოს თავისი ამქრები.

— აი როგორ: მატერია წავიღოთ, თან სხვა რამე-რუმეც გავაყოლოთ. კარი გავტეხოთ და მეორე დღეს დილით განვაცხადოთ, თითქოს ქურდებმა გატეხეს და გაქურდეს სავაჭრო.

— კარგია, კარგია!—ერთხმად შესძახის მას.

და მართლაც მეორე დღეს დილით ოთხივენი მივარდნენ ალმასკომში და ცხვირპირში მუშტების ცემით განაცხადეს:

გვიშველეთ, დავილუპენით,
გატეხეს ჩვენი დუქანი.
ხულ მთლად წაიღეს ქურდებმა
თუ რამე იყო მსუქანი.

(წანკლიანი).

ვეღარ მოასწრეს ჩაკოსტიუმება. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და თავი ამოჰყვის გამსახლოში.

— ცხვირპირს რაღასთვის ვიმტვრევდით ჩვენივე მუშტებით, თუ საქმე ასე წავიდოდა!—ნაღვლიანად მოსთქვამენ ისინი.

ხელი მოითბო

სოფ. გორდში (ქუთ. ოლქი) ლავრენტი ზერაია გვარიან პატიოსან კაცად ითვლებოდა.

და სწორედ ამიტომ აირჩიეს ის გლეხკომის თავმჯდომარედ.

ეს ისეთი თანამდებობაა, რომ მაინც დამაინც შეძლებული და მევახშე ვერ ეღირსება.

სოფელში ხმა გავარდა, რომ ლავრენტი მევახშეობას ეწევა—ფულებს ასესხებს პროცენტებში.

— მართალია, ლავრენტი ეს ხმები? —შეეკითხენ მას.

— რავა გეკადრებათ! ფულს მე კი არა, ჩემი ცოლი ასესხებს; მე სადა მაქვს გასასესხებელი ფული; ის კი არა, რასაც ვშოულობ ქალს ვაბარებ ...მდე!—თავი „იმართლა" ლავრენტიმ.

— ყოფილი მიკიტანი რატომ მოაწყვეთ სასადილოში?—შეეკითხა მეორე.

ის ჩემი სიძეა... უმუშევრად დარჩა კაცი და, ხომ იცით, უმუშევარს მე კი არა, ბირჟაც კი ეხმარება სამსახურის შოვნაში!—აქაც თავი იმართლა ლავრენტიმ.

საექიმო ექიმი

ღრმა ძილში იყო სოფელი ლესაჭინათი (გორია), როცა ადგილობრივისაავადმყოფოს ექიმი ზაქრო ზამბახიძე საკმაოდ შეზარხოშებული დაბრუნდა სახლში დასაძინებლად.

მაგრამ არ ეძინება. ბორგავს ლოგინში და თითქოს ვიღაც ჩასძახის ყურში:

თუ კი გშია ზაქარია
სხვისი ქალიც შაქარია.

დგება ექიმი და...

ზებია ქალს კარებზე დაუკაკუნა—კარი გამიღეო.

მაგრამ პასუხად მიიღო:
—ეს არ გაგივა აქ, არა!—
პირში ჩალითა დაბრუნდა
სახლში ექიმი ზაქარა.

მეორე დღის განცხადება შეიტანა ალმასკომში ზებაა ქალის მოხსნის შესახებ.

ალბად ალმასკომი თვითონ მიხვდება—რომელია მათში მოსახსნელი.

ლოთი მატარებელი

მიბარბაცებს კახეთის
ლოთი მატარებელი,
ღვინით გალეშილია
ყველა მისი მხლებელი,

საკუთარ კუპეებში
სხედან კონდუქტორები,
„რეჩს" ამბობენ, მღერიან
სმაში თანასწორები,

დამიჯერე, — ტარტაროზ,
არ გეგონოს ჭორები,
მობრძანდი და იხილე
ეს მუცელ — ტიკჭორები,

რონოდებიც სავსეა
არყითა და ღვინითა,
შეჯიბრი აქვთ ქეიფში
გზას იკლებენ ლხინითა,

ვაი შენ თუ ფხიზელი,
ვისმეს აეხირები,
მთვრალი „პასაჟირებით"
იქვე გაიწირები.

აქ ყველანი ყლუნწავენ,
დიდია თუ პატარა,
შეხეთ, სუფრის თამადამ
ჯამი ჩამოატარა.

სადღეგრძელო გადაჰკრა
ღარიბ სოფლელებისა;
სიტყვა არ დაიშურა
კოლექტივის ქებისა.

და გული კი სავსე აქვს
გესლითა და შხამითა;
ვერ ინელებს ახალ დროს,
შფოთავს დღით და ღამითა,

მაგრამ ვერას გახდება
რა გინდ გასქდეს გულზედა;
მორჩა ვეღარ იხარებს
სხვის ნაშრომ მამულზედა,

და ვეღარც ხმას აღიდგენს
პურ-მარილ თუ ფულზედა,..

და ასე მიბარბაცებს
ლოთი მატარებელი,
ყაყანებს და ხმაურობს
ყველა მისი მხლებელი.

იტყვით: რას აკეთებენ,—
მატარებლის მცველები?
ისინიც აქ მღერიან
ძმურათ ნადღეგრძელები,

ან კი რათ არ იმღერენ,
როცა ღვინო უხვია;
მაგრამ შეხეთ ორთქლმავალს.
„რელსებს" გადაუხვია.

აირივ - დაირია
უეცრად აქ ყოველი
და მატარებელი კი
დგას ბალახის მძოველი

გამალებით ეძებენ
მგზავრნი მემანქანესა,
მაგრამ ისიც სასმელით
სადღაც გააქანესა.

უჩინარი.

კახეთის რკ. გზაზე



— რა ამბავია, რომ წარა-მარა აჩერებენ ვაგონს?
— ვიღაც მგზავრს ნემსი დავისწყებია სადგურში და მოსატანად წავიდა!

ასეთი არის ლოზუნგები
ქალბატონისა,
და არა ერთი
მიმცემი ჰყავს
მას იქ ტონისა.



ადმინგანში შევიაროთ,
ვინახულებთ მ[illegible]ქარიევსა,
ვერ ივიწყებს ნიკოლოზის
შილა-ფლავს და მ[illegible]კარონსა.
დაუმშვენა მხარი შკუროს,
მის მ[illegible]ენა იყო ხელი,
თერგის ოლქი დაარბია,
სისხლით მორწყო მთ[illegible] და ველი.
დღეს „არ ახსოვს“ ეს ამბები
და მიაწერს „ბოროტ ენებს“,
მას „ რ ახსოვს“, მაგრამ ალბად
კომისია გაუხსენებს

არუთინოვი ბრძანდება
საფინგანის
მარგალიტი.
თანამშრომლებს
სახეში სცემს
ტარიელის მას აქვს „ვიდი“

სტატისტიკოსს **სემიონოვს**
უყურებენ სიცილითა,
მორთულია ნიკოლოზის
მენდლებით და ჯინჯილითა
ნიკოლოზას შეაბერდა,
მოიხადა მასთან ვალი,
ჩვენს დროს მიტომ არ სწყალობს და
წარსულისკენ მიაქვს თვალი.

სანაკოევი ტიტულით
სტატისტიკოსი ბიჭია,
თუმცა მან სტატისტიკაში
არ იცის „ინჩი-ბინჩია“
ანგარიშები ებნევა,
არეული აქვს დავთარი,
სტატგანის საქმე მითია
ჩაფლავებული, წამხდარი.

აზრუმანოვი ყოფილი
„მებრძოლი“ დაშნაკელია,
ინტრიგის ქსელის გამბმელი.
გამოქექილი, მელია.
„პადლოგისტ“ აშორდიასი
ერევანელი ძმობილი
ყალთაბანდობის ოსტატი,
და ლ[illegible]თი-ფოთი ცნობილი.

სეროვი ფინაპარატის
[illegible]ზორ - ინსტრ[illegible]რია
მ[illegible] ჯალა[illegible] ყ[illegible]ილი,
არავინა ჰყავს სწორია.
ჭეშმარიტ რუსთა კავშირის
წევრ[illegible] და კონსერვატორი,
ჟანდარმერიის აგენტი,
ჯაშუში, პროვოკატორი.



ინსტრუქტორი სტატგანისა
ოქოევი — ჭალარა
მის ძირითად „პროფესიას
აღარ იშლის აღარა
„კუპეცია“ პირველ გილდის
და ეწევა ჩარჩობას,
ამ ხელობის დავიწყებას.
არჩევს თავის დახრჩობას.

„ფინანსისტი“ **ბურენკო**
ძველი აფიცერია
დენიკინის ერთგული,
მისთა მტერთა მტერია
დავთარს როცა უყურებს,
თვლემს და თან ეძინება,
ეზმანება ძველი დრო
ცრემლები ედინება.



„დიდი რუსეთი,
მთლიანი და განუყოფელი“ —
აი რას ფიქრობს, რას ოცნებობს
პავლსკის ქალი
„ბეი ჟიდოვ, არმიან, გრუზინ,
ხპასაი რასიუ,
და მოიხადე დიდ რუსეთის
წინაშე ვალი“.

„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი

სპეციალური

პირველი აგვისტოს—წითელი დღის

ნომერია

სად. ბელლევ.ი



დარაჯი (მატარებლის მემანქანეს):—სადგურში არ შემოხვიდე,— სადგურის უმფროსი ქათმებს საკენკს უყრის.

მუშკოფის წმენდა

ქუთაისი.

ცირეკიძემ გაიარა
აპარატის წმენდა.
ვერ დამალა, რომ ის ლურსმანს,
ნათესავს აძლევდა.

ოცდა ხუთი მაღაზიის
ის არის ნოქარი,
მაგრამ მუშკოოპის წევრი
დღემდის ის არ არის.

სასადილო ნომერ შვიდში
გამგეა კოსტავა;
მისი საქმე ლოთობაა,
მუდამ ჩხუბი, დავა.

გამგეობას ის არ სცნობს
მაღლა მოაქვს ცხვირი,
და აგინებს მუშებს დედას,
თან სძულს კომკავშირი.

ის ბათომში ცხრაას რვაში
მიკიტანი იყო.
მაღლაკში გლეხებს უჩივლა,
მიწებს ხელი მიჰყო.

სასადილო ნომერ ორში
ცაგარეიშვილია,
დალალ - სპეკულიანტობაში
კარგათ გამოწვრთნილია.
ღორებს, ძროხებს და ხბოებსაც
ყიდულობს და ჰყიდის,
იმის ხელში სასადილო
უკან - უკან მიდის.

—:—

ქრელიშვილი პირველ ნომერს
ნოქრად მოევლინა,
(ბაღდათის „ეპოში“ იყო,
თქვენ არ იცით ვინა?),
მსხვილი კაცი, გაიძვერა
ენა კი აქვს „ტკბილი“
ათას სამას ნაღდ მანეთსა
გაკრა ბასრი კბილი.

ხ—ტი.

დეპეშები

მწვანე კონცხი. რკ. გზის ადმინისტრაციამ ხუთწლიან გეგმაში შეიტანა ფოსტის ყუთისა და წყლის ბაკის შეძენა.

დუბეში.

ნივთების აღევნება

კოხნარი (ოზურგ. მაზრა). ტფილისისაკენ გამგზავრების დროს მირიან მცხილაძეს აიღევნენ ქვრივი ქალის ნივთები, რომლებიც ძლივს ჩამოაშორეს მილიციის დახმარებით.

კოხი.

ლოცვის რეკორდი

ნიგოიითი. 4-წლედის მასწავლებელმა ქალმა სულიკო კვახაძემ დაამთავრა ლოცვის ახალი რეკორდი: პუდრისა და სალებავების წასმის შემდეგ, სკოლაში ყველა გაკვეთილებზე ლოცულობდა და მოწაფეებსაც უქადაგებდა ღვთის მსახურებაზე.

ევა.

ნორმალური დღე

ბომი (ქუთ. ოლქი). სამკერვალოს გამგემ დღეს მხოლოდ ექვსი მოწაფე გალახა; მათში ორს ყური ააგლიჯა, ხოლო დანარჩენებს—კბილები ჩაუმტვრია. (მებრძოლი)

ჩვენი ბიუროკრატი

სამტრედია. კომუჯრედის, კომკავშირის, საწარმოო კომისიის, ადგილკომის სხდომების და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ოქმი ასეთია:

„ეთხოვოს სამტრედიის მოძრაობის დარგის ადმინისტრაციას მეთუნუქე კაკაურიძის გადმოყვანა წარმოებასთან ახლოს“.

ოქმის ასლი მიმართვის სახით გადაუგზავნეს ადმინისტრაციას, რომელმაც ზედ ასეთი რეზოლიუცია წააწერა:

„ვინაიდან შენობას, რომელშიაც გადმოყვანილ უნდა იქნეს კაკაურიძე არა აქვს საკვამლე მილი, რის გაკეთებასაც ესაჭიროება 20-30 მანეთი, ამიტომ უარი ეთქვას“.

აი, ასე ესმით ჩვენს ბიუროკრატებს შრომის ნაყოფიერების აწევა, მომჭირნეობა და გეგმიანი მუშაობა.

იშვიათი მაგალითი

სამტრედია. დღეს არ მოიტყუილა ქალთა წრის ხელმძღვანელმა დ გამოცხადდა წრეში სამეცადინოთ ოთხი საათის დაგვიანებით. (ეს არაფერია!).

(აქ-რი).

მუხრუჭი

„ვერ გაუგეს“

კერძო ვაჭარი სადგურის აგენტებისათვის ქრთამის მიცემის საშუალებით ადვილად ახერხებს ვაგონების თავის დროზე მიღებას. ტრამვაელების მიერ შემდგარმა პროფსაბჭოს ბრიგადამ კი უარი მიიღო სამტრედიის რკ. გზ. ადმინისტრაციისაგან დამზადებული ხილის მიღებაზე.

კოოპერატორი: (სადგურის მოხელეს) ერთი თვეა ვიცდი!.. გაეცით განკარგულება, რომ მივიღო საქონელი! დავმყავდი კაცი; აღარ შემიძლია მეტის ატანა!

სადგურის მოხელე: რას იჩქარი კაცო! არ შეიძლება ასე აჩქარება.

კოოპერატორი: დალპა საქონელი. აღარ ივარგებს

სად. მოხ.: ნელზია კაცო, ტაკ. ჩტო ზა პუბლიკა ასე ჩქარა არ შეიძლება—ნადა უდატ ამხანაგო და! უდატ ნადა! ა ვი ყოატ ნე ხატიტე.

კანდიდატი

ამიერ--კავკ. რკინის გზის სამმართველოს ინჟენერი **კულიაბკო** ფორმალისტია: თავის თანამშრომელს, რომელიც გვერდზე უზის სწერს ოფიციალურ წერილებს.

„კომუნ.“.

რიაზანიდან
„გამჩისტეს“ უწინ,
გ-ხდა თბილისი სულის კვეთება
და უგზო უკვლო
კონვერტთა სრბოლა
აქაც „ჩისტკაზე“ შემეფეთება.

ძილის გუდა

ამიერ-კავკ. რკ. გზების სამმართველოს სტატისტიკურ განყოფილების თანამშრომელი **სანაკოევი** მოთავსებული იყო შავ დაფაზე სისტემატიურიდაგვიანების გამო.

გაზეთებიდან.

სანაკოევი (ზმორებით) ნეტავი გამომაგონებია ისეთი მაგ ბიურო ძალა, რომ როცა მომინდებ რკ. გზის სამმართველოს ყველა საათები უკან დამაწევინა 4-5 საათით. მაშინ არც შავი დაფა შემაშინებდა და არც აპარატის წშენდა. გავეიმავდი ფეხებს, და ვიძინებდი და ვიძინებდი არხეინად! მაااااშ!

ავანსების მოყვარული

ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოს საღრიცხვო - საანგარიშო ბიუროს გამგეს **მუმლაძეს** აღმოაჩნდა გაცემული ავანსების დიდი რაოდენობა. რევიზიის დროს გაცემულ ავანსების რიცხვი 50.000 მანეთს უდრიდა.

გაზეთებიდან.

ვერ მუმლაძე მიხეილი,
სპეცთა შორის ბედაური,
საღრიცხვო ბიუროსი
ხელმძღვანელი, მეთაური.
„ჩემისთანა საბმუშაკი
განა არის სადმე კიდე?
მეორესაც ვერ შეხვდებით“
გინდა მოვლეთ კიდათ კიდე.
აღბიუროს საქმეები
ჩინებულად გავარიგე
და ათასი ხუთჯერ ათი
ავანსებათ დავარიგე.

ქაფვაშია ქველი ცოდვები აქვს ძველი

რკ. გზ. სამმართველოს საშემოსავლო განყოფილების თანამშრომელს **ბერძენიშვილს** წმენდის დროს წაუყენეს ბრალდება, რომ იგი მთვრალი დადის სამსახურში, აუღია ქრთამი და მსახურობდა სისხლის სამ. მილიციაში მენშევიკების დროს.

გაზეთებიდან

საშემოსავლო
განყოფილების
თანამშრომელი
ბერძენიშვილი
ლოთი-ფოთია,
უყვარს ნუნუა
ცივი კახური,
ჩახჩახა,
ტკბილი.
მენშევიკების
მილიციაში
იღვწოდა იგი,—
ყოფილი გვამი
და რა შეამკობს
მის ცოდვის ნუსხას
თუ არა ქრთამი,
თუ არა ქრთამი.

კურდღელი სამშვიდობოზე

— რა სისულელეს ვიზამდით, ბილეთი რომ გვეყიდა!

წერილი ტარტაროზს!

ბუკის-ციხე

გაწუხებ, ძმაო ტარტაროზ,
აქეთ ჩამოსვლა გჭირია,
რადგან აქ ხდება ამბები
კაცთაგან გასაკვირია.

აქ, თეოფილე დაგხვდებათ,
ჩვენი ჭირი და ლხინია,
უმცროსთან — მკაცრი, უწყალო,
უფროსებთან კი ფინია.

ვაი იმ უნცროსს, რომელსაც
იმისი არ ეშინია.
(მსურს ყველა ნათლად გამბო
რაც ერთხელ დაუჟინია).

მან კოლწევრების კრებაზედ
ასტეხა ჩხუბი, ყვირილი,
რევოლვერს ხელი დაავლო
ქალებმა მორთეს ტირილი.

ეძგერა უცბათ თომასა,
(გარშემო მყოფი აცინეს),
გაჰკრეს - გამოჰკრეს ერთმანეთს,
ცხვირ-პირში სისხლი ადინეს.

ამათ ჩხუბში და დავაში.
კოლწევრნი იჭყლიტებიან.
რად არ მოხსნიან ორივეს?
ნეტა ვის ერიდებიან?

ფერიაშვილი.

ადგილი № 5

ჩვენი წარმოება ჯერ კიდევ არ გადასულა განუწყვეტელ კვირაზე, ამიტომ დასასვენებელი და უქმე დღე ერთად შემხვდა.

— რა უნდა გავაკეთო ტფილისში ორი დღე, ისიც ასეთ სიცხეში? მოდი „მსუბუქ კავალერიასავით“ დავესხმი ცოლს აგარაკზე! — გავიფიქრე და ქალაქის სადგურისაკენ გავსწიე ბილეთის საყიდლად.

— მოგვეცით სურამის ბილეთი 15 ივლისისათვის, — ვუთხარი მოლარე ქალს, რომელიც ერთი ხელით ბილეთს ყიდდა, მეორეზე კი ენით მანიკიურს ილოკავდა.

— ბილეთი ავიღე (პლასკარტი № 5). ცოლის ნაჩუქარ ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოვიწმინდე და მივადექი ვაგონს. ამაყად შევედი შიგ,ან კი რა მქონდა თავის მოსაკატუნებელი, მაგრამ როდესაც ჩემს ადგილს მივადექი, სადაც მამალ ინდაურივით ვიღაც იჯდა და ულვაშებზე თავს იქცევდა, წარბები მოვხარე.

— ამხანაგო, თქვენ ჩემი ადგილი დაგიკავებიათ!

ბილეთი ამოიღო. დავხედეთ. ორივეს ერთი და იგივე ადგილი გვაქვს. ტანზედ ამხედ-დამხედა. ისე დამიბღვირა, რომ მუშტი ზაჰესის ტურბინივით გადამექცა თვალებში. სათვალები ჯიბეში ჩავიდევი.

— ამხანაგო, მე უკანონო შვილი არ გეგონოთ, ადგილი დამიცალე! — გაბედულად ვუთხარი და ჩოხის კალთაზე მაგრად გავკარ ხელი. რადგან ძალზე მაღალი იყო, ჩემი მუშტი ბარძაყში მოხვდა. ჩვენს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაიმართა, არ ვიცით ვინ ვის დასძლევდა, დამძლია კიდეც ოჯახ დაქცეულმა და ის იყო ცოტა სული მოვითქვი სკამებს ქვეშ, რომ ამ დროს კონდუქტორმა დაიძახა:

— თქვენი ბილეთი!

— აი ამხანაგო, მე ბილეთი ამაღია, ისიც ქალაქის სადგურზე და ეს ყმაწვილი ადგილს არ მითმობს! — კონდუქტორმა სათვალე ცხვირის ქვევით გაისწორა. სათვალეების ზევიდან ბილეთს დახედა, თავი დაიქნია. ულვაშებში არსენა ოძელაშვილივით ჩაიცინა, რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ამ დროს შემოვიდა ვიღაც „ზაკვაიაქიანი“ ქალი და კონდუქტორს ბილეთი ხელში მიაჩეჩა. — ჩემი ადგილი № 5.

— ვა, ერთ ადგილზე სამი ბილეთის გაყიდვა განა გაგონილა! — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ეს არაფერია. ეს ჩვეულებრივი ამბავია სადგურის მოლარეებისათვის! — იხუმრა კონდუქტორმა. სამს ერთი ადგილი გაქვთ, უკეთესია სცეთ პატივი და დაუთმოთ ადგილი!

— ასეთი პასუხით დამამშვიდა მე და ჩემი მოჩხუბარი.

— ეჰ, ლეკვი ძაღლისა სწორია ჩოხიანი იქნება თუ კაბიანი! — ჩავილაპარაკე ჩემთვის და ასავალთან ავეყუდე არქიმანდრიტის ჯოხივით.

ხაშურამდი მუხლებში წყალი ჩამიდგა.

გადავჯექი სურამის მატარებელში. იქ კი სულერთია ბილეთებიანი ხარ თუ უბილეთო, ალბად ჯიბგირების პროტექციამ გასჭრა, რომ სანთილს არ ანთებენ.

მატარებელმა მშობიარე ქალივით მიაკივლა სურამს.

— მამიკო, სახე რატომ გაქვს გაკაწრული? — შემომესიენ ბავშები.

— არაფერია შვილო, სახლში ბალღნჯოების მსხვერპლი გავხდი! — თვალზე კი ჩოხიანი წერწეტი კაცის ლანდმა გადამირბინა.

ივანიკა.

..-ვლელს (ნატანები). აკი იყო ამის შესახებ „ტარტაროზის“ № 26-ში.

იზვინიაიუს-ს (ჩაქვი). ჩვენც ბოდიშს ვიხდით, მაგრამ თქვენს წერილს ვერ დავბეჭდავთ მისი გამოუსადეგარობის გამო. ასეთი მესტვირულით თქვენ ჭკუაზე ვერ მოიყვანთ სოსო მახარაძეს, პირიქით, მისთვის მესტვირული „მისწრება“ იქნება ქეიფის დროს.

ორაგ-უტანგს (ჭიათურა). წერილი ქაღალდის ცალ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი. არც ასეთი გრძელი წერილი გამოდგება. პატარა მარილს ბევრ წყალში ნუ გაადნობთ, თორემ წყალს მარილი არ დაეტყობა.

ლიკ-ლიკოს (ასკანა). თუ კი:

> გასართობებს ხშირად მართვენ,
> სალამოა თუ ალეგრა
> ზოგმა ქაფიც აადინა,
> ბევრი ზურგიც მოილენგრა (გაილახა),

მაშინ ტარტაროზს რაღა დარჩენია გასაკეთებლად, რომ მანდ ჩამოვიდეს! საქმე თავისთავად მოგვარებულა („მოულენგრიათ ერთმანეთი).

ჩუმ-ჩალა-კუკუს. ასეთი სიტყვა არ არსებობს. არის სიტყვა „ჩუმ-ჩაირა-კუკუ“. ფსევდონიმში რომ შეცდომას უშვებ, რაღა იქნება წერილი. სწერთ: „ასტრახანის ტარანივით ერთმანეთზე მიწყობილით“... სწორედ ასეა თქვენი წერილის სტრიქონებიც.

გვაჯას (სამტრედია). რკ. გზის სასადილოს შესახებ უკვე გვქონდა, რომ:

> შიგ ძალლი პირში გეცემა,
> და მიაქვს კერძი შენია.
> ხარჩოში ხორცი არ არის,
> ბორშჩში მარტო-ღა წვენია

ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ:

> სანიტარული საკითხი,
> ნეტავი აქ ვინ არია?
> საპირფარეშოს ოთხ ოთახს
> აქვს მხოლოდ ერთი კარია.

ასე, რომ ასეთ მოვლენებს ვერ უშველის მარტო ყურის აწევა; საჭიროა სხვა ზომები.

მგზავრს (აქვე). შევდივართ თქვენს მდგომარეობაში და ვათავსებთ თქვენს განცხადება-ლექსს:

> როცა გვირაბს გამოვშორდი,
> აღარ მეცვა ქვეშ საცვალი.
> (ჯერეც არ მაქვს გადახდილი
> ნასესხები მისი ვალი).
> ტანს გამხადა ვიღაც ქურდმა,
> თურმე როცა დამეძინა.
> თუმც, არ ვიყავ ხასიათზე,
> მაგრამ მაინც გამეცინა.

კი გმართებთ სიცილი და სიხარული, რომ საცვალთან ერთად თქვენაც არ მოგიპარათ.

ეშვს (სოფ. ქვ. სიმონეთი, ქუთ. ოლქი) თქვენი ეზვი თქვენი წერილის მხოლოდ ერთ ადგილს შეეხო:

> გაიკრიჭა ჩვენი მღვდელი
> ჭუმბურიძე პართენიო.
> ღვთის ლოცვა და მსახურება
> დამეკარგა ამდენიო.
> მოუშინჯა კბილი არტელს
> და შიგ შეძვრა, როგორც მელა.
> აწ მას ჰკითხეთ ამ არტელის
> მოთლა-ჭამა ნელა-ნელა.

თუ მართლაც სერიოზულად განუზრახავს ასეთი, მისთვისაც უნდა გაესინჯათ კბილები. ეს ჯერ არც ისე გვიანია!

ჩვენი საკუთარი კორესპ. ხვიშტიკილისაგან.

სად. გურჯაანი. ყინულის საკეთებელი მოძრავი ქარხნის შეკეთება დასრულდება შემოდგომის დამლევს, რის შემდეგაც ზამთარში ქარხანა შეუდგება ყინულის დამზადებას. (წნორში ყინულის უქონლობის გამო სიცხე 45 გრადუსს აღემატება).

იქიდანვე. უცბათ გამოღვიძებულმა მგზავრმა ვაგონზე დაინახა წარწერა: „ტფილისი-გორი“ და იყვირა:—ვაიმე, გორში რა მინდა, გურჯაანში მქონდა საქმეო! მოქალაქეს გული გაუსკდა და სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს, როცა უთხრეს:—ეს გურჯაანია, ვაგონებზე წარწერები აქეთ ყოველთვის ასე არეულიაო.

თელავი. სადგურში პირველ ივნისს მოეწყო ადგილობრივ კედლის გაზეთის „მუშის ხმის“ 5 წლის არსებობის აღსანიშნავად საღამო, სადაც ადგილკომის თავმჯდომარე სანიკიძემ ჩამოგლიჯა გაკრული პლაკატები და ლოზუნგები.

წნორის-წყალი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძრის გაჩენისთანავე თავს უშველა და... ხანძარი რამდენიმე დღის შემდეგ თავისთავად ჩაქრა.

რკ. გზის მუშფაკის განცხადებები

დაიკარგა რკ. გზ. მუშფაკის ასაგებ შენობის პროექტი, რომელზედაც მუშაობა დაიწყო 1927 წელში. (პროექტი დაეკარგა მუშფაკის დეკანს მოსკოვში ოთხჯერ მივლინების დროს).

მოიპარეს მუშფაკის ახლად შეძენილი ავეჯეულობა. (დარჩენილი დამტვრეული ინახება სარდაფში).

ვსთხოვთ ნუ შეწუხდებიან ის პირები, რომლებსაც მუშფაკის ჰმართებს ფული 1926-27 წლებში წაღებული, ვინაიდან მათი ხელწერილი ფულის მაგიერ კიდევ ინახება სალაროში.

მიიმალა მუშფაკის მუშაობისათვის გადადებული ფული, რომლითაც ადმინისტრაციამ შეიძინა მხოლოდ ორი შავი დაფა (პირველი კანდიდატი ალბად თვითონ ადმინისტრაცია იქნება).

6 თვის წინად გაიქცა და აღარ დაბრუნებულა მსუბუქი კავალერია.,

თაროები—ელოდებიან წაღებულ წიგნების დაბრუნებას, მაგრამ ჯერჯერობით არავინ აბრუნებს.

მუშფაკელი.



Ф 345
1930

სოროდან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

— ვაშენებთო... და ასეთ მშვენიერ ფოთებს და კლდეებს კი აფეთქებენ და ანგრევენ!